აჭარის ელექტროქსელი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საქართველო, 6010 ბათუმი, მ. აბაშიძის გამზ. 33
33 M. Abashidze ave., 6010 Batumi, Georgia
Tel.: 995 222 7 22 00 Fax: 995 222 7 44 44

№ 579/7 31 08 2009

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ ირაკლი ნიქოვანს

ბატონო ირაკლი,

გიგზავნით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 31 ივლისის №359/9 გადაწყვეტილების შესაბამისად შეცვლილ საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და და ურთიერთმართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადებას, აგრეთვე სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადებას.

<u>გთხოვთ გამოაქვეყნოთ მოცემული ინფორმაცია კომისიის ვებ გვერდზე.</u>

პატივისცემით

დიმიტრი ჩხოლარია
დირექტორი

შპს "აჭარის ელექტროკავშირის" საკუთარი ქსელის
საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და
ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების
წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულია შპს "აჭარის ელექტროკავშირის" საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება ყველა ავტორიზირებულ პირზე და მიღებულია ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულების მიზნით.

შპს "აჭარის ელექტროკავშირის" საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1. შპს "აჭარის ელექტროკავშირის" საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების ვალდებულება დაკისრებული აქვს შემდეგ გეოგრაფიულ სეგმენტებზე:
   ა) აჭარის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
2. შპს "აჭარის ელექტროკავშირის" საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების მისამართებია (ურთიერთჩართვის წერტილი):
   ა) აჭარის ადგილობრივი მომსახურების ზონა – ძირითად მისამართად განსაზღვრულია ბათუმი 26 მაისის ქ. № 47

3. ურთიერთჩართვის წერტილ(ებ)ში ტექნიკური საშუალებების გამოყენებული ინტერფეისების აღწერილობა:
   3.1. ურთიერთჩართვა ხორციელდება 2 მგბტ/წმ (E-1) ნაკადებით;
   3.2. ურთიერთჩართვისთვის გამოყენებული ინტერფეისია G703;
   3.3. ქსელების ურთიერთჩართვა ხორციელდება SS7 სიგნალიზაციით;
   3.4. **Huawei** ფირმის **Softswitch**-ის ტიპის სატელეფონო სადგური.

4. შპს "აჭარის ელექტროკავშირის" საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების ტარიფები შეადგენს:
   4.1. აჭარის ადგილობრივი მომსახურების ზონა: ზარის წამოწყება – 4 თეთრი წუთში; ზარის დასრულება – 4 თეთრი წუთში;

   შენიშვნა: ტარიფები მოიცავს დღგ-ს, ტარიფიცირება წარმოებს წამობრივი დამრგვალებით;

5. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება შემოსავლების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს წინააღმდეგობა

მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, ანგარიშსწორება იწარმოებს შპს "აჭარის ელექტროკავშირის" მიერ მხარისადმი წარდგენილი შემოსავლების შესახებ საოქმო გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული თანხების ოდენობით, ხოლო სადაო ნაწილზე წარდგენილ იქნება გადაანგარიშების მოთხოვნა სათანადო დასაბუთებითა და შესაბამისი მტკიცებულებით. თუ მხარეები 10 სამუშაო დღის ვადაში ვერ შეთანხმდებიან საპრეტენზიო ნაწილზე, დავა განხილული და გადაწყვეტილი იქნება საქართველოში არსებული მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის მეშვეობით.

6. შპს "აჭარის ელექტროკავშირის" საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) განხორციელების პირობები და პროცედურები:

6.1. განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) წერილობით განცხადება, სადაც კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული რომელ ურთიერთჩართვის წერტილში სურს განმცხადებელს მიერთება, რა მარშრუტითა და ტექნიკური საშუალებებით გეგმავს განმცხადებელი საკუთარი საკომუტაციო სადგურიდან ურთიერთჩართვის წერტილთან მიერთებას, 2 მგბ/წმ ნაკადებით ურთიერთჩართვის მოთხოვნილი სიმძლავრე სათანადო დასაბუთებით და ურთიერთჩართვის განხორციელებისთვის აუცილებელი ყველა სხვა სახის ინფორმაცია;

დ) წერილობით განცხადებაში დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის დასტური რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს ოფერტაში დაფიქსირებულ ყველა პირობას;

6.2. განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში შპს "აჭარის ელექტროკავშირის" შეისწავლის აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 6.1 მუხლში დაფიქსირებულ მოთხოვნებს და არის თუ არა ურთიერთჩართვის განხორციელება ტექნიკურად შესაძლებელი.

6.3. განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში შპს "აჭარის ელექტროკავშირის" წერილობით აცნობებს განმცხადებლს აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 6.1 მუხლში დაფიქსირებულ მოთხოვნებს და არის თუ არა ურთიერთჩართვის განხორციელება ტექნიკურად შესაძლებელი. დადებითი პასუხის შემთხვევაში აქცეპტი მიღებულად ითვლება წერილობითი პასუხის გაცემის თარიღიდან, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა;

6.4. 6.3 მუხლის მიხედვით დადებითი პასუხის შემთხვევაში შპს "აჭარის ელექტროკავშირის" ვალდებულია აქცეპტის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს აქცეპტანტს მის მიერ ხელმოწერილი ურთიერთჩართვისა და თანალოკაციის ფართთან დაშვების შესაბამისი ხელშეკრულებები.

6.5. აქცეპტანტი ვალდებულია 7 კალენდარული დღის ვადაში მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება უკან დაუბრუნოს შპს "აჭარის ელექტროკავშირის". თუ ამ ვადაში ხელმოწერილი ხელშეკრულება არ იქნება დაბრუნებული, ითვლება რომ აქცეპტანტი უარს აცხადებს ოფერტაზე და შპს "აჭარის ელექტროკავშირის" უფლებას იტოვებს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ოფერტაზე უარის მთქმელ პირთან ფაქტობრივი ურთიერთობები მათი არსებობის შემთხვევაში და ჩაითვლება, რომ შპს "აჭარის ელექტროკავშირის" აქცეპტანტთან არანაირი სამართლებლივი ურთიერთობა არ აკავშირებს.

6.6. ის ავტორიზებული პირები, რომლებსაც აქვთ შპს "აჭარის ელექტროკავშირის" წინამდებარე ოფერტის შესაბამისად გაფორმებული მოქმედი ურთიერთჩართვისა და თანალოკაციის ფართთან დაშვების ხელშეკრულებები, დამატებითი სიმძლავრის, დამატებითი თანალოკაციის ფართის ან/და დამატებით ურთიერთჩართვის წერტილთან დაშვების მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულნი არიან იმოქმედონ შემდეგი პროცედურის მიხედვით:

6.6.1. დამატებითი სიმძლავრის ან/და დამატებით ურთიერთჩართვის წერტილთან დაშვების მოთხოვნის შემთხვევაში:

ა) განმცხადებლები ვალდებულნი არიან განცხადების წარდგენისას დაიცვან მხოლოდ 6.1 მუხლის გ) და დ) პუნქტებში გათვალისწინებული მოთხოვნები;

ბ) განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში შპს "აჭარის ელექტროკავშირის" შეისწავლის აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 6.1 მუხლის გ) და დ) პუნქტებში დაფიქსირებულ მოთხოვნებს და არის თუ არა დამატებითი სიმძლავრის გამოყოფა ან/და ურთიერთჩართვის განხორციელება ტექნიკურად შესაძლებელი.

გ) განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში შპს "აჭარის ელექტროკავშირის" წერილობით აცნობებს განმცხადებლს აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 6.1 მუხლის გ) და დ) პუნქტებში დაფიქსირებულ მოთხოვნებს და არის თუ არა დამატებითი სიმძლავრის გამოყოფის ან/და ურთიერთჩართვის განხორციელება ტექნიკურად შესაძლებელი. დადებითი პასუხის შემთხვევაში აქცეპტი მიღებულად ითვლება წერილობითი პასუხის გაცემის თარიღიდან, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა;

დ) 6.6.1 მუხლის გ) პუნქტის მიხედვით დადებითი პასუხის შემთხვევაში შპს "აჭარის ელექტროკავშირის" ვალდებულია აქცეპტის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს აქცეპტანტს მის მიერ ხელმოწერილი ურთიერთჩართვისა და თანალოკაციის ფართთან დაშვების შესაბამისი ხელშეკრულებები ან შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს აქცეპტანტთან მოქმედ ხელშეკრულებ(ებ)ში.

ე) აქცეპტანტი ვალდებულია დაიცვას 6.5 მუხლში დაფიქსირებული მოთხოვნები;

6.6.2. დამატებითი თანალოკაციის ფართის გამოყოფის მოთხოვნის შემთხვევაში:

ა) განმცხადებლები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ წერილობითი განცხადება, სადაც დასაბუთებული იქნება თანალოკაციის ფართის დამატებით გამოყოფის აუცილებლობა და კონკრეტულ ადგილმდებარეობა და დაიცვან 6.1 მუხლის დ) პუნქტში გათვალისწინებული მოთხოვნები;

ბ) განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში შპს "აჭარის ელექტროკავშირის" შეისწავლის აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 6.6.2 მუხლის ა) პუნქტისა და 6.1 მუხლის დ) პუნქტში დაფიქსირებულ მოთხოვნებს და არის თუ არა დამატებითი თანალოკაციის ფართის გამოყოფის ტექნიკური შესაძლებლობა;

გ) განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში შპს "აჭარის ელექტროკავშირის" წერილობით აცნობებს განმცხადებლს აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება .5.2 მუხლის ა) პუნქტისა და 6.1 მუხლის დ) პუნქტში დაფიქსირებულ მოთხოვნებს და არის თუ არა დამატებითი თანალოკაციის ფართის გამოყოფის ტექნიკური შესაძლებლობა. დადებითი პასუხის შემთხვევაში აქცეპტი მიღებულად ითვლება წერილობითი პასუხის გაცემის თარიღიდან, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა;

დ) 6.6.2. მუხლის გ) პუნქტის მიხედვით დადებითი პასუხის შემთხვევაში შპს "აჭარის ელექტროკავშირის" ვალდებულია აქცეპტის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს აქცეპტანტს მის მიერ ხელმოწერილი თანალოკაციის ფართთან დაშვების შესაბამისი ხელშეკრულება ან შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს აქცეპტანტთან მოქმედ ხელშეკრულებაში.

ე) აქცეპტანტი ვალდებულია დაიცვას 6.5 მუხლში დაფიქსირებული მოთხოვნები;

7. შპს "აჭარის ელექტროკავშირის" ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო კონკრეტული თანალკომაციის ფართების მისამართი ემთხვევა შესაბამისი ურთიერთჩართვის წერტილის მისამართს. ფართზე დაშვების პირობები (მათ შორის დაშვების საფასური) განსაზღვრულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 აპრილის №189/9 და 2007 წლის 20 ივლისის №400/9 გადაწყვეტილებებით დადგენილი სპეციფიკური ვალდებულებების დაკონკრეტების შესახებ" 2009 წლის 31 ივლისის №359/9 გადაწყვეტილების დანართი №1 (დასკვნა)-ის შესაბამისად.

8. შპს "აჭარის ელექტროკავშირის"საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები:
   8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
   8.2. „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეუძლიათ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.
   8.3. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა) აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიული აქტები). საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), ხელისუფლების ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვა.
   8.4. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შერულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება. მხარემ, რომლისათვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილიბით. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

9. შპს "აჭარის ელექტროკავშირის" საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებების შეწყვეტის პირობები:
   9.1. შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საფუძვლებით;

10. შპს "აჭარის ელექტროკავშირის"საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების განხილვის წესი:

ბრძანება ძალაში

ძალაშია

ბრძანებულია

ბრძანებისაგან

ერთი

ბრძანებრაკი.

ძალმოქმედებაში

ბრძანებრაკი.

ბრძანებულებაში

ბრძანების

ბრძანების გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადით.

ლიბერალი ჩხოლარია

შპს "აჭარის ელექტროკავშირი"

ბრძანება № 74ოპ

ქ. ბათუმი 27 08 2009 წ.

შპს „აჭარის ელექტროკავშირის" ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო კონკრეტული თანალოკაციის ფართებთან ავტორიზებული პირების დაშვების პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ 2008 წლის 29 მაისის №37 ოპ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

გაუქმდეს შპს „აჭარის ელექტროკავშირის" ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო კონკრეტული თანალოკაციის ფართებთან ავტორიზებული პირების დაშვების პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ 2008 წლის 29 მაისის №37 ოპ ბრძანების 1. მუხლის ბ) პუნქტის 1. ქვეპუნქტი („თანალოკაციის ფართთან დაშვების საფასური")

დირექტორი დ. ჩხოლარია

შპს "აჭარის ელექტროკავშირი"

ბრძანება

"29" მაისი 2008 წ. №37-ოქ

შპს "აჭარის ელექტროკავშირის" ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო კონკრეტული თანალოკაციის ფართებთან ავტორიზებული პირების დაშვების პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. "აჭარის ელექტროკავშირის" ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო კონკრეტული თანალოკაციის ფართებთან ავტორიზებული პირების დაშვების პირობები ჩამოყალიბდეს ქვემოთმოცემული პროცედურის მიხედვით:

ა) თანალოკაციის ფართის გამოყოფა:

1. პირველადი თანალოკაციის ფართის გამოყოფა;

1.1. თანალოკაციის ფართთან დაშვების მსურველი ავტორიზებული პირი (განმცხადებელი) ვალდებულია წარმოადგინოს:
ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
გ) წერილობით განცხადება, სადაც დასაბუთებული იქნება თანალოკაციის ფართის გამოყოფის აუცილებლობა და კონკრეტული ადგილმდებარეობა;
დ) წერილობით განცხადებაში დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის დასტური, რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს "აჭარის ელექტროკავშირის" მიერ საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადებაში (მოწვევის ოფერტაში) დაფიქსირებულ ყველა პირობას;

1.2. თანალოკაციის ფართის გამოყოფა იწარმოება "აჭარის ელექტროკავშირის" მიერ გამოქვეყნებული საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადებისა (მოწვევის ოფერტის) და წინამდებარე ბრძანების საფუძველზე;

1.3. განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში "აჭარის ელექტროკავშირი" შეისწავლის აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 1.1 მუხლში დაფიქსირებულ მოთხოვნებს და არის თუ არა თანალოკაციის ფართის გამოყოფა ტექნიკურად შესაძლებელი;

1.4. განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში "აჭარის ელექტროკავშირი" წერილობით აცნობებს განმცხადებლს აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 1.1 მუხლში დაფიქსირებულ მოთხოვნებს და არის თუ არა თანალოკაციის ფართის გამოყოფა ტექნიკურად შესაძლებელი. დადებითი პასუხის შემთხვევაში აქცეპტი, მიღებულად ითვლება წერილობითი პასუხის გაცემის თარიღიდან, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა;

1.5. 1.4 მუხლის მიხედვით დადებითი პასუხის შემთხვევაში, "აჭარის ელექტროკავშირი" ვალდებულია აქცეპტის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს აქცეპტანტს მის მიერ ხელმოწერილი თანალოკაციის ფართთან დაშვების შესაბამისი ხელშეკრულება;

1.6. აქცეპტანტი ვალდებულია 7 კალენდარული დღის ვადაში მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება უკან დაუბრუნოს "აჭარის ელექტროკავშირს". თუ ამ ვადაში

ხელმოწერილი ხელშეკრულება არ იქნება დაბრუნებული, ითვლება რომ აქცეპტანტი უარს აცხადებს ოფერტაზე და "აჭარის ელექტროკავშირი" უფლებას იტოვებს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ოფერტაზე უარის მთქმელ პირთან ფაქტობრივი ურთიერთობები მათი არსებობის შემთხვევაში და ჩაითვლება, რომ "აჭარის ელექტროკავშირს" აქცეპტანტთან არანაირი სამართლებლივი ურთიერთობა არ აკავშირებს;

1.7. ავტორიზებული პირის (აქცეპტანტის) მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების "აჭარის ელექტროკავშირისათვის" დაბრუნებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, "აჭარის ელექტროკავშირი" გასცემს წერილობით ნებართვას ავტორიზებულ პირზე შესაბამის თანალოკაციის ფართზე აპარატურული კარადის განთავსების შესახებ. ნებართვა მიეწოდება ავტორიზებულ პირსა და "აჭარის ელექტროკავშირის" შესაბამისი სტრუქტურული ერთეულს. ნებართვის წერილში მითითებული უნდა იყოს ავტორიზებული პირის სახელი, განსათავსებელი აპარატურული კარადის ზომა, მონტაჟის განმახორციელებელი პირების ვინაობა, ნებართვის მოქმედების ვადა (მინიმუმ 10 სამუშაო დღე), თანალოკაციის ფართის ზუსტი ადგილმდებარეობა;

1.8. ავტორიზებული პირი ვალდებულია ნებართვის გაცემის თარიღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს აპარატურული კარადის განთავსება თანალოკაციის ფართზე. განთავსების პროცესს დაესწროს "აჭარის ელექტროკავშირის" წარმომადგენელი, რომელიც გამოყოფილ იქნება "აჭარის ელექტროკავშირის" შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ. განთავსების სამუშაოების შემდეგ მხარეებს შორის (ავტორიზებული პირის მხრიდან მონტაჟის განმხორციელებელი პირები, ხოლო "აჭარის ელექტროკავშირის" შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ გამოყოფილი პირები) გაფორმდეს პირველადი მიღება ჩაბარების აქტი, სადაც მითითებული უნდა იყოს: მონტაჟის განხორციელების თარიღი, აქტის ხელმომწერი პირების თანამდებობა და ვინაობა, აპარატურული კარადის ზუსტი ზომა (სამივე განზომილების მიხედვით), განთავსებული აპარატურული კარადის ზუსტი ადგილმდებარეობა, აპარატურული კარადის საიდენტიფიკაციო ნიშანი. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მიეწოდოს "აჭარის ელექტროკავშირის" სახელშეკრულებო-ანგარიშსწორებისა და დებიტორებთან მუშაობის სამსახურს. პირველადი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ზემოთმითითებული პირველადი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გაფორმდეს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მითითებული უნდა იყოს იგივე პუნქტები, რაც პირველად მიღება-ჩაბარების აქტში.

2. დამატებითი თანალოკაციის ფართის გამოყოფა:

2.1. თანალოკაციის ფართთან დაშვების მსურველი ავტორიზებული პირი (განმცხადებელი) ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) წერილობით განცხადება, სადაც დასაბუთებული იქნება თანალოკაციის ფართის დამატებით გამოყოფის აუცილებლობა და კონკრეტულ ადგილმდებარეობა;

ბ) წერილობით განცხადებაში დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის დასტური რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს "აჭარის ელექტროკავშირის" მიერ საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადებაში (მოწვევის ოფერტაში) დაფიქსირებულ ყველა პირობას;

2.2. თანალოკაციის ფართის გამოყოფა იწარმოება "აჭარის ელექტროკავშირის" მიერ გამოქვეყნებული საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) მიხედვით;

2.3. განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში "აჭარის ელექტროკავშირი" შეისწავლის აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 2.1 მუხლში დაფიქსირებულ მოთხოვნებს და არის თუ არა დამატებითი თანალოკაციის ფართის გამოყოფა ტექნიკურად შესაძლებელი;

2.4. განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში "აჭარის ელექტროკავშირი" წერილობით აცნობებს განმცხადებლს აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 1.1 მუხლში დაფიქსირებულ მოთხოვნებს და არის თუ არა დამატებითი თანალოკაციის ფართის

გამოყოფა ტექნიკურად შესაძლებელი. დადებითი პასუხის შემთხვევაში, აქცეპტი მიღებულად ითვლება წერილობითი პასუხის გაცემის თარიღიდან, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა;

2.5. 2.4 მუხლის მიხედვით დადებითი პასუხის შემთხვევაში, "აჭარის ელექტროკავშირი" ვალდებულია აქცეპტის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს აქცეპტანტს მის მიერ ხელმოწერილი თანალოკაციის ფართთან დაშვების ხელშეკრულება ან ცვლილებები შეიტანოს აქცეპტანტთან მოქმედ ხელშეკრულებაში;

2.6. აქცეპტანტი ვალდებულია 7 კალენდარული დღის ვადაში მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება (ცვლილება ხელშეკრულებაში) უკან დაუბრუნოს "აჭარის ელექტროკავშირს". თუ ამ ვადაში ხელმოწერილი ხელშეკრულება არ იქნება დაბრუნებული, ითვლება რომ აქცეპტანტი უარს აცხადებს დამატებითი თანალოკაციის ფართის მიღებაზე;

2.7. ავტორიზებული პირის (აქცეპტანტის) მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების (ხელშეკრულების ცვლილების) "აჭარის ელექტროკავშირისთვის" დაბრუნებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, "აჭარის ელექტროკავშირი" გასცემს წერილობით ნებართვას ავტორიზებულ პირზე შესაბამის თანალოკაციის ფართზე აპარატურული კარადის განთავსების შესახებ. ნებართვა მიეწოდება ავტორიზებულ პირსა და "აჭარის ელექტროკავშირის" შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს. ნებართვის წერილში მითითებული უნდა იყოს ავტორიზებული პირის სახელწოდება, განსათავსებელი აპარატურული კარადის ზომა, მონტაჟის განმხორციელებელი პირების ვინაობა, ნებართვის მოქმედების ვადა (მინიმუმ 10 სამუშაო დღე), თანალოკაციის ფართის ზუსტი ადგილმდებარეობა;

2.8. ავტორიზებული პირი ვალდებულია ნებართვის გაცემის თარიღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს აპარატურული კარადის განთავსება თანალოკაციის ფართზე. განთავსების პროცესს დაესწროს "აჭარის ელექტროკავშირის" წარმომადგენელი, რომელიც გამოყოფილ იქნება "აჭარის ელექტროკავშირის" შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ. განთავსების სამუშაოების შემდეგ მხარეებს შორის (ავტორიზებული პირის მხრიდან მონტაჟის განმხორციელებელი პირები, ხოლო "აჭარის ელექტროკავშირის" შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ გამოყოფილი პირები) გაფორმდეს პირველადი მიღება ჩაბარების აქტი, სადაც მითითებული უნდა იყოს: მონტაჟის განხორციელების თარიღი, აქტის ხელმომწერი პირების თანამდებობა და ვინაობა, აპარატურული კარადის ზუსტი ზომა (სამივე განზომილების მიხედვით), განთავსებული აპარატურული კარადის ზუსტი ადგილმდებარეობა, აპარატურული კარადის საიდენტიფიკაციო ნიშანი. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მიეწოდოს "აჭარის ელექტროკავშირის" სახელშეკრულებო-ანგარიშსწორებისა და დებიტორებტან მუშაობის სამსახურს. პირველადი მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ზემოთმითითებული პირველადი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გაფორმდეს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მითითებული უნდა იყოს იგივე პუნქტები, რაც პირველად მიღება-ჩაბარების აქტში;

ბ) თანალოკაციის ფართთან დაშვების საფასური:

1. თანალოკაციის ფართთან დაშვების საფასური განისაზღვრება "აჭარის ელექტროკავშირის" 2008 წლის 16 აპრილის ბრძანებით №25 ოპ;

გ) თანალოკაციის ფართთან დაშვების წესი:

1. ავტორიზებულ პირთა წარმომადგენლების დაშვება იმ შენობებში, სადაც მათი აპარატურული კარადები და სხვა მოწყობილობებია განთავსებული, განხორციელდეს სპეციალური საშვების საშუალებით, რომლის გაცემასაც ახორციელებს "აჭარის ელექტროკავშირის" შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი სათაო ორგანიზაციის შესაბამისი სამსახურის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, რომელშიც მიეთითება ავტორიზირებული პირის დაშვებაზე უფლებამოსილი კონკრეტული თანამშრომლების თანამდებობა, სახელი და გვარი.
2. შენობებში დაშვება ხორციელდება სათაო ორგანიზაციის მიერ დადგენილ ვადებში:
   - სამუშაო დღეებში 10:00-დან 17:00 საათამდე;
3. დაევალოთ "აჭარის ელექტროკავშირის" სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელებს, გამოყონ წარმომადგენლები, რომლებსაც დაევალებათ

მეთვალყურეობის გაწევა ავტორიზებულ პირთა წარმომადგენლების კომპანიის შენობებში ყოფნის პროცესისათვის. ყოველი თვის დასრულებიდან 5 დღის ვადაში კომპანიის სათაო ორგანიზაციაში წარმოადგინონ ინფორმაცია განხორციელებული დაშვებების შესახებ, დაშვებული ავტორიზებული პირებისა და პირების მითითებით.

4. დაევალოთ "აჭარის ელექტროკავშირის" მიერ გამოყოფილ პირებს დაშვების მსურველი ავტორიზებული პირის წარმომადგენლის შენობებში შემოყვანა, მათი მიყვანა აპარატურულ კარადამდე და აქტის გაფორმება სამუშაოს შესრულების პროცესის შემდგომ.

5. ავტორიზებული პირი ვალდებულია წინასწარ მიმართოს "აჭარის ელექტროკავშირს" აპარატურის შეტანის, დემონტაჟისა ან/და შენობიდან გამოტანის მოთხოვნით. მიმართვაში დაფიქსირებული უნდა იყოს აპარატურის ზუსტი მონაცემები და ასევე იმ პირის ვინაობა, ვინც უნდა განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები. ამასთანავე, აპარატურის შეტანის მოთხოვნის შემთხვევაში, ავტორიზებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს შესატან აპარატურაზე საკუთრების დამადასტურებელი საბუთი.

6. აპარატურის გადატანა, შენობაში შეტანა, დემონტაჟი და შენობიდან გამოტანა ხორციელდება სათაო ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის წერილობითი ნებართვის საფუძველზე ავტორიზებული პირის წერილობითი მიმართვის შემდგომ. აპარატურის შეტანის მოთხოვნის შემთხვევაში "აჭარის ელექტროკავშირი" ნებართვას გასცემს იმ შემთხვევაში, თუ ავტორიზებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს მის საკუთრების უფლებას შესატან აპარატურაზე და ამასთანავე აპარატურის განთავსება თანალოკაციის ფართზე არ უქმნის რაიმე რისკს შენობა/ნაგებობებსა და სხვა განთავსებულ აპარატურას. ნებართვაზე უარის შემთხვევაში "აჭარის ელექტროკავშირი" აცნობებს ავტორიზებულ პირს უარის მიზეზს. ნებართვის გაცემის შემთხვევაში ნებართვის ერთი ასლი გადაეცემა დაცვის სამსახურს. ნებართვაში დაფიქსირებული უნდა იყოს ნებართვის მოქმედების ვადა (მინიმუმ 10 სამუშაო დღე), აპარატურის ზუსტი მონაცემები და იმ პირის ვინაობა, ვინც უნდა განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები.

7. აპარატურის გადატანას, შენობაში შეტანის, დემონტაჟისა ან/და შენობიდან გამოტანის შემდეგ მხარეების წარმომადგენლებს (ავტორიზებული პირის მხრიდან სამუშაოების განმხორციელებელი პირები, ხოლო "აჭარის ელექტროკავშირის" მხრიდან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ გამოყოფილი პირები) შორის გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მითითებული უნდა იყოს: სამუშაოების განხორციელების თარიღი, სამუშაოების ტიპი, აქტის ხელმომწერი პირების თანამდებობა ვინაობა, აპარატურის ზუსტი მონაცემები, შესაბამისი თანალოკაციის ფართის მისამართი. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მიეწოდოს "აჭარის ელექტროკავშირის" სახელშეკრულებო-ანგარიშსწორებისა და დებიტორებთან მუშაობის სამსახურს.

8. დაევალოთ ავტორიზებული პირების წარმომადგენლებს, სათავსოებში, სადაც განთავსებულია მათი კუთვნილი მოწყობილობები, დაიცვან ხანძარსაწინააღმდეგო და ელექტროუსაფრთხოების ზომები, აგრეთვე სისუფთავე და წესრიგი, განსაკუთრებით სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას და დამთავრების შემდეგ;

9. წინამდებარე ბრძანებით დადგენილი პროცედურის დარღვევის ან/და კომპანიის წარმომადგენლის მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევი პირი "აჭარის ელექტროკავშირის" შენობაში არ დაიშვება. არ დაშვებაზე გადაწყვეტლებას იღებს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი პირი. ასეთი გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს შესაბამის ავტორიზირებულ პირს წერილობით;

2. წინამდებარე ბრძანების მიღებისთანავე უქმდება ყველა ის ბრძანება და იმ ბრძანების შესაბამისი პუნქტი, რომელიც ეწინააღმდება ამ ბრძანებას.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

დირექტორი . მ. სტეფანია